

ქართული „ბალავარიანი“ და გლობალური კულტურული სივრცე

აბსტრაქტი: დღეს, როგორც არასდროს, აქტუალურია კვლევა ფაქტებისა, რომელიც საქართველოს ევროპასთან ისტორიულ ურთიერთობებს ეხება. ვფიქრობთ, ეს საინტერესოა არა მხოლოდ პოლიტიკური და დიპლომატიური, არამედ კულტურული, კერძოდ, ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ ადრე შუა საუკუნეებში. სტატიაში ლიტერატურის ისტორიიდან განხილულია ცნობილი ჰაგიოგრაფიულ-მორალისტური და ასკეტურ-დოგმატური თხზულება, რომელსაც ქართულად ეწოდება „სიბრძნე ბალაჰვარისი“ ან („ბალავარიანი“) - ტექსტის ისტორია, მისი თავგადასავალი, რაც ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია იმისა, რომ ქართულ-ევროპული ურთიერთობები ადრეულ შუა საუკუნეებში არა თუ არსებობდა, არამედ იყო ორმხრივი და ინტენსიური. მეცნიერი რ. სირაძე მონოგრაფიაში „ქართული კულტურის საფუძვლები“ წერდა, რომ „ბალავარიანის“ ისტორია კარგად წარმოაჩენს ქართული კულტურის ფუნქციას. სტატიის მიზანი მეცნიერის ამ თეზისის გააზრებაა: რას თვლიდა იგი ქართული კულტურის ფუნქციად? „ბალავარიანი“ არის ძეგლი, რომელიც ქართულიდან ბერძნულად ითარგმნა და ამ გზით შევიდა ევროპულ სივრცეში. ამ ტექსტის ისტორია ცხადყოფს, რომ საქართველო ადრეული შუასაუკუნეებიდანვე ჩართული იყო ღია კულტურათშორის დიალოგებში და თავისი წვლილი შეჰქონდა თვით ბიზანტიურ მწერლობაში; საქართველო კულტურულ ხიდსა და გზაჯვარედინს წარმოადგენდა ევროპასა და აზიას შორის; ქართულენოვანი ლიტერატურის გაუთვალისწინებლად ვერ დაიხატება შუა საუკუნეების მსოფლიო კულტურული პროცესების სრულყოფილი სურათი.

სტატიაში მოყვანილი ფაქტები სპეციალისტებისთვის, მართალია, არაა უცხო, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის, ვფიქრობთ, ცნობილი არ არის და პოპულარიზაციას საჭიროებს. სტატია განკუთვნილია სტუდენტებისათვის, ასევე ქართული კულტურისა და ლიტერატურის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.

საკვანძო სიტყვები: ექვთიმე ათონელი, ქართული კულტურის ფუნქცია, ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობები

Khatuna Gogia

Georgian “Balavariani” and Global Culture Space

Abstract: *Today, more than ever, research related to Georgia’s historical relations with Europe is relevant. Not only from the point of view of politics and diplomacy, but also culture, in particular literary relations, which date to the early Middle Ages. This article discusses the famous hagiographical-moralistic and ascetic-dogmatic work, which in Georgian is called, “Wisdom of Balavaris”, or “Balavariani”. The text serves as one of the best examples proving that Georgian-European relations in the early Middle Ages not only existed, but were bilateral and intense. Philologist Revaz Siradze wrote in his monograph “Fundamental Elements of Georgian Culture” that the history of “Balavariani” presents the function of Georgian culture well. The purpose of this article is to examine his thesis and answer the question: What did he consider to be the function of Georgian culture? Balavariani is a monumental work, which entered the European space through its translation from Georgian to Greek. It reveals that Georgia was involved in open, intercultural dialogues from the early Middle Ages and contributed to Byzantine writing itself and that Georgia served as a cultural bridge and crossroads between Europe and Asia. Thus, global cultural processes of the Middle Ages cannot be fully told without the consideration of Georgian literature.*

Although the information presented in the article is not unfamiliar to specialists, it is unknown to the general public and thus needs to be disseminated. Therefore, the article is intended for students, as well as for anyone with an interest in Georgian history and culture.

Keywords: *Ekvtime of Athens, function of Georgian culture, Byzantine-Georgian relations*

შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია ტექსტი, რომელიც თვალსაჩინოს ხდის ქართული კულტურის ადგილს, ფუნქციას, როლს გლობალურ კულტურულ კრისტიანულ ოკუმენაში. ვგულისხმობ ძველ ქართულ ლიტერატურაში ცნობილ ჰაგიოგრაფიულ-მორალისტურ და ასკეტურ-დოგმატურ თხზულებას, (ხშირად სასულიერო რომანსაც უწოდებენ), რომლის ქართული სათაურია „სიბრძნე ბალაჰვარისი“ ან (ტრადიციულად - „ბალავარიანი“). ნაწარმოებს ძნელად მოეძებნება ბადალი გავრცელების მასშტაბით მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ცნობილია მისი 147-ზე

მეტი თარგმანი და გადამუშავება სხვადასხვა ენაზე: ფალაური, თურქული, ხუთი არაბული, ორი ქართული, ბერძნული, ორი ლათინური, ძველი სლავური, ხუთი ესპანური, სომხური, ეთიოპური, ცხრა იტალიური და სხვ. (ხინთიბიძე 1982: 262). ეს არის სიუჟეტი, რომელმაც გაუძლო გადააზრებას თითქმის ყველა რელიგიის მოთხოვნათა შესაბამისად. მის გავლენაზე საუბრობენ ემენბახის (XII-XII სს) სარაინდო რომან „პარციფალზე“, ასევე შექსპირსა და ტოლსტოისთანაც, XVII ს-ის ესპანელი მწერლის პედრო კალდერონ დე ბარკას პიესაზე „ცხოვრება სიზმარია“. (ამ ლიტერატურულ გავლენებზე ვრცლად საუბარი არაა ინტერესს მოკლებული, მაგრამ ამჯერად სცდება სტატიის მიზნებს). ბიზანტინოლოგიის გამოჩენილი მკვლევრის ანრი გრეგუარის¹ თქმით, ის მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული წიგნია, რომელიც იმსახურებს უექველად მსოფლიო ლიტერატურისათვის განკუთვნილ ნობელის პრემიას“.

ნაწარმოებთან დაკავშირებული პრობლემები არ არის მხოლოდ ქართული ფილოლოგიის კუთვნილება, არამედ ზოგადად ბიზანტინისტიკას მოიცავს. ქართული „ბალავარიანის“ ტექსტი აინტერესებთ ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ქრისტიანული მწერლობის პრობლემები მეცნიერულად შეისწავლება. თვით საქართველოშიც მყარი საფუძვლები არსებობს ტექსტის კვლევისა. ი. ჯავახიშვილის ერთ-ერთი პირველი ბეჭდური ნაშრომი იყო „ბალავარიანის“ რუსული თარგმანი 1899 წ. რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეცნიერს ტექსტის ღირებულება კარგად ესმოდა. მეცნიერი რ. სირაძე კი წერდა, რომ „ბალავარიანის“ ისტორია კარგად წარმოაჩენს ქართული კულტურის ფუნქციას (სირაძე 2000: 18). რას თვლის მეცნიერი ქართული კულტურის ფუნქციად? ჩვენი მიზანი ამ თეზისზე დაფიქრებაა. ამ კითხვაზე საპასუხოდ, ჩავთვალოთ საჭიროდ, რომ კიდევ ერთხელ მივადევნოთ თვალი „ბალავარიანის“ ისტორიას: თუ როგორ იმოგზაურა ამ სიუჟეტმა კულტურიდან - კულტურაში, ქვეყნიდან - ქვეყანაში, ერთი რელიგიიდან - მეორეში, აზიიდან - ევროპაში თუ - პირიქით, და,

¹ ანრი გრეგუარი 1925-1964 წწ. რედაქტორობდა საერთაშორისო ბიზანტინოლოგიურ ფრანგულ ორგანო „ბიზანტიონს“. ს. ყაუხჩიშვილმა თავის „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში“ ჩართო მისი ნარკვევის „ივერთა მონასტერი და ათონის მთის ქართველთა როლი“ თარგმანი, რომელიც 1963 წელს „ბიზანტიური საზოგადოების წელიწდეულში“ იყო მოთავსებული. წერილი ეხება ბერძნული (ვარლაამ და იოასაფის) „ბალავარიანის“ წარმომავლობისა და ავტორობის საკითხს.

რაც მთავარია - რა როლი შეასრულა ამ თხზულების ქართულმა ვერსიამ გლობალურ ლიტერატურულ-კულტურულ პროცესში?

როგორც კოდიკოლოგიური თვალსაზრისით, ასევე სამეცნიერო ისტორიის კუთხით, ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისების არსებობით, ქართული „სიბრძნე ბალაჰვარისა“ მიჩნეულია ურთულესად, მაგრამ ჩვენი მიზანი ამჯერად არ არის არც ამ პრობლემებზე საუბარი, არამედ გვინდა ყურადღება მივმართოთ სიუჟეტის ისტორიისკენ: საუკუნეების მანძილზე ჩნდებოდა მისი თარგმანები სხვადასხვა ენებზე.

„ბალავარიანის“ სიუჟეტის საწყის ვერსიად მიჩნეულია გაუტამა ბუდას ცხოვრების ინდური სანსკრიტული რედაქცია, რომელიც IV ს-ში ჩნდება. მართალია, ბუდისტური ვერსია ყველაზე ძველია მოღწეულთაგან, თუმცა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მანამდეც არსებულიყო რაიმე წინა ვერსია. IV ს-ში ინდოეთში ისტორიულად ცნობილი ყოფილა მეფე აბენესი, ხოლო ქრისტიანობა უკვე ნაქადაგები იყო თომა მოციქულის მიერ. როგორც ე. ჭელიძე მსჯელობს, შესაძლოა, პირიქით მომხდარიყო: რადგან ინდოეთი არ გაქრისტიანებულა, არსებული ქრისტიანული თხრობა ინდურ ბუდისტურ გარემოში ტრანსფორმირებულიყო. არაერთი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ წარმართულ გარემოში ხდება ქრისტიანულ ელემენტების პაგანიზაცია. გაცილებით უფრო მოსალოდნელი სწორედ ისაა, რომ ქრისტიანული ტექსტი გარდაქმნილიყო ბუდისტურად. მოსალოდნელია, რომ ამბის საწყისი წერტილი - სირიული ან სანსკრიტული ტექსტი ყოფილიყო, (რომელიც დღესაც არაა მიკვლეული) და მისგან მომდინარეობდეს არაბული, რადგან სირიულიდან ბევრი რამ არაბულად ითარგმნებოდა. რაც მთავარია, ქრისტიანულმა სამყარომ არ დაკარგა შემორჩენილი ამბავი და იგი მსოფლიოში გავრცელდა (ჭელიძე, იხ. მითითებული ინტერნეტმისამართი).

VI ს-ში მოთხრობა არსებულია საშუალო სპარსულზე - ფალაურზე. ეს უნდა ყოფილიყო ამბის მანიქეური ვერსია, რომელიც არ შემონახულა, მაგრამ არაბული თარგმანი მიანიშნებს მის არსებობას. არაბული მუსლიმური ვერსია ზუსტად მისდევს ფალაურს, განსხვავება მხოლოდ მუსლიმურ ტერმინებშია.

მთარგმნელობითი ტრადიცია ძველ საქართველოში ადრექრისტიანულ ეპოქაშივე იყო მდიდარი, დიდი დიაპაზონისა. თვალსაჩინოა ტენდენცია მთელი ქრისტიანული სამყაროს სულიერი მიღწევების ათვისებისა. ითარგმნებოდა ძირითადად ბერძნულიდან, მაგრამ ასევე - სირიულიდან, არაბულიდან, ალბანურიდან, კოპურიდან, სომხურიდან...

არაბული დედანი დასდებია საფუძვლად „ბალავარიანის“ ძველქართულ თარგმანს, რომელიც IX ს-ის დამდეგს არის შესრულებული. უბრწყინვალესი ძველქართული ვერსია არაბულსა და ბერძნულს შორის დგას. ქართული არის ხიდი არაბულიდან ბერძნულისკენ და შემდეგ - მთელი მსოფლიოსკენ. ამიტომ არის ქართული ტექსტი მსოფლიო მნიშვნელობისა და სწორედ ის არის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე „ბალავარიანის“ გლობალურ ისტორიაში. ჩვენ არ ვიცით, ვინ შეასრულა ეს უაღრესად სრულყოფილი და დახვეწილი თარგმანი, რომელიც საკმაოდ დიდი მოცულობისაა და ხელნაწერებში ორი რედაქციით არის შემონახული: „ცხორება ნეტარისა იოდაფისი, მისა აბენეს, ჰინდოთა მეფისაჲ, რომელი მოაქცია ნეტარმან მამამან ბალაჰვარ მოძღუარმან“² და „სიბრძნე ბალავარისი“. ამ ძეგლის გამოცემა და გამოკვლევა ილია აბულაძეს ეკუთვნის. ძეგლით დაინტერესებულმა საზოგადოებამ უპირველესად ამ გამოცემით უნდა გაიცნოს იგი³.

არსებობს „ბალავარიანის“ მოკლე (A) რედაქციაც, რომელიც ქართული ვრცელი ტექსტის შემოკლებაა. ტრადიციულად, ვრცელი რედაქციებიდან მოკლე რედაქციების ფორმირება და დაყვანა ხდებოდა მხოლოდ ბერძნულენოვან სამყაროში. ქართულადაც მხოლოდ ბერძნულიდან ითარგმნებოდა. ტექსტებს ამოკლებდნენ იმიტომ, რომ ეკლესიაში საკითხავად მოსახერხებელი ყოფილიყო, რაც მიღებული წესი იყო. ხშირად შემოკლებებიც ასევე დამოუკიდებელი თარგმანები იყო, ძირითადად - ბერძნულიდან. ლიტურგიკული რეგლამენტირებისთვის შეიქმნა „ბალავარიანის“ მოკლე რედაქციაც, მაგრამ ბერძნულად არავითარი მოკლე რედაქცია არ მოიპოვება, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოკლება უშუალოდ ქართულ ნიადაგზეა განხორციელებული. მოკლე რედაქცია გამოკრებილია ვრცელიდან, ანუ

² ვრცელი რედაქცია, რომლის ერთადერთი, XI ს. ხელნაწერი (Ier. 140) გამოვლინდა 1956 წელს.

³ ილ. აბულაძე, ბალავარიანის ქართული რედაქციები, თბილისი, 1957, (ვრცელი და მოკლე).

არ არის ცალკე თარგმანი. ქართულენოვან სამყაროში „ბალავარიანი“ გაცილებით ადრე ჩნდება, ვიდრე ბერძნულსა და ლათინურენოვანში. არა თუ ვრცელი, მოკლე რედაქციაც კი წინ უსწრებს ნებისმიერ ბერძნულენოვან ტექსტს. ბერძნულში ის ჩნდება მე-11 საუკუნის დამდეგიდან, როცა ქართული უძველესი მოკლე რედაქცია მე-9-10 მიჯნით თარიღდება. ვრცელი რედაქცია შემუშავებულია მე-9 საუკუნეში, აქედან ცხადია, რომ შემოკლება ქართულ ნიადაგზეა მომხდარი. მოკლე და ვრცელის შედარება ადასტურებს, რომ სიტყვასიტყვით მისდევს და მისგან მომდინარეობს.

ძველ საქართველოში არაბერძნული წარმომავლობის დედნებიდან არაბული ერთ-ერთია, საიდანაც ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები იქნა თარგმნილი. კვლევებით დამტკიცებულია, რომ „ბალავარიანის“ ვრცელი რედაქციის თარგმანი შესრულებულია არაბული ენიდან. თუმცა, არაბულიდან თარგმნილობაც არ არის ცალსახად გაზიარებული მეცნიერებაში არის აზრთა სხვადასხვაობა, რომ ქართულის დედანი შეიძლება იყოს ალბანური, კოპტური, სომხური და სხვა, მაგრამ ტექსტში არ შეინიშნება გრეციზმები, არმენიზმები, არამედ აქ არის გამჭვირვალე არაბიზმები⁴, ყველაზე თვალსაჩინო ენობრივ-ტერმინოლოგიური შესატყვისოებები ტექსტს არაბულ დედანთან აქვს, რაც დასტურია მისი მომდინარეობისა არაბულიდან. მიჩნეულია, რომ „ბალავარიანის“ ქართული ვერსია თარგმნილია მაშინ, როცა ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობები შედარებით ინტენსიური იყო, ანუ მე-10 საუკუნემდე. არაბულიდანაა თარგმნილი სხვა მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლებიც: „ლიმონარი“, „პანტელეიმონის წამება“, ვასილი კაბადოკიელის „მეორე ეპისტოლე გრიგოლ ნაზიანზელისადმი“ და სხვ.

ბერძნულად თხზულება „ვარლაამი და იოასაფი“, „ვარლაამი და იოასაფატი“ („Barlaam kai Joasaph“) ჩნდება — XI ს-ში ათონის მთაზე. ბერძნული ტექსტის უძველესი ხელნაწერი მე-11 საუკუნისაა, 1021 წლისა, პირველად გამოაქვეყნა ბიზანტინისტმა ფონკიჩმა. თხზულების პოპულარობა და მისი მთელ მსოფლიოში გავრცელება მისი ბერძნული რედაქციიდან და ბერძნულის ლათინურად თარგმანიდან მომდინარეობს.

⁴ გამოთქმულია მოსაზრებებიც, რომ ძველი ორიგინალურია, დაწერილია ქართულად იოანე მოსხის (VI-VII სს) მიერ (ს. ყაუხჩიშვილი, შ. ნუცუბიძე).

- ვინ გადაიტანა ძველი ქართულიდან ბერძნულ ენაზე? ვინ აღასრულა ეს უდიდესი მნიშვნელობის ღვაწლი?

„ვარლამისა და იოდასაფის“ ავტორობის საკითხი თანამედროვე ბიზანტინისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ბიზანტინისტიკაში მიღებული ტრადიციით ბერძნული ტექსტის ავტორად მე-8 საუკუნის უდიდესი ბიზანტიელი ღვთისმეტყველი იოანე დამასკელია მიჩნეული. ამ ვერსიის მეცნიერული დასაბუთება უკავშირდება გერმანელი ბიზანტინისტიკის – ფ. დელგერის სახელს (1953). ის იყო დიდი ავტორიტეტი 50-იანი წლების ბიზანტინისტიკაში. მისი დასკვნა ეყრდნობოდა ბერძნული ტექსტის შედარებას იოანე დამასკელის მსოფლმხედველობასთან, სტილთან, ცალკეული ფრაზებისა და ფორმულების მსგავსებასთან. ასე ასკვნოდა მეცნიერი იოანე დამასკელის ავტორობის საკითხს.

პაულ პეტერსი იყო მეცნიერი, რომელმაც 1931 წელს დაასაბუთა, რომ „ვარლამ და იოსაფატი“ ქართულიდან ბერძნულად X-XI ს-ის მიჯნაზე თარგმნა ექვთიმე ათონელმა (955-1028).

დელგერი არ იცნობდა ქართულ წყაროებს და არც ხელთ ჰქონია გიორგი ათონელის აგიოგრაფიული თხზულება „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“ (XI ს), სადაც არის ცნობა, რომ ექვთიმემ ქართულიდან ბერძნულად თარგმნა „*ვარლამ და იოდასაფი*“: „*თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკბოებაჲ, ვითარცა ნესტჳ ოქროისაჲ ჳმა მაღალი, ოხრის ყოველსა ჳუეყანასა, არა ხოლო ქართლისას, არამედ საბერძნეთისასაცა, რამეთუ ბალავარი და აბუკურად და სხუანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულიდან თარგმნა ბერძულად*“ (ძქალბ 1967, II: 41).

დავით ლენგმა, რომელიც ქართულ წყაროებს უკეთ იცნობდა, ვიდრე დელგერი, პირველად მოიშველია გიორგი ათონელის ტექსტის ეს ცნობა და ამტკიცებდა, რომ „ბალავარიანი“ არის არა ორიგინალური შრომა, არამედ თარგმანი, შესრულებული ქართული ენიდან. ლენგის არგუმენტებმა საფუძველი გამოაცალა დელგერის შეხედულებას, რომელიც უყოყმანოდ გაიზიარა მეორე ცნობილმა ავტორიტეტმა ჰანს გეორგ ბეკმა. სამწუხაროდ, არც დელგერმა და არც ბეკმა არ გადასინჯეს თავიანთი შეხედულება ლენგის კვლევის შემდეგაც. დელგერი გამორიცხავდა, რომ ეს ნაწარმოები ბერძნულ სამყაროში ქართველს, ან ვინმე არაბერძენს შემოეტანა, ვისთვისაც ბერძნული მშობლიური ენა არ იყო. მისი აზრით, ავტორი

ამ დიდი მნიშვნელობის თხზულებისა აუცილებლად ეროვნებით ბერძენი და დიდი ღვთისმეტყველი უნდა ყოფილიყო. მან ასევე მოულოდნელად გადაათარილა ცნობილი ხელნაწერები, რითაც გამორიცხა ექვთიმეს ავტორობა და თითქოს გაამყარა თავისი თეორია დამასკელის ავტორობის შესახებ. დელგერი და ბეკი სათანადოდ არ იცნობდნენ ექვთიმეს, რომ მისი ღვაწლის მასშტაბები ობიექტურად შეეფასებინათ.

ქართველმა მკითხველმა აგიოგრაფიული თხრობიდან იცის, რომ ექვთიმემ საუბარი ბერძნულად დაიწყო ბერძნულენოვან გარემოში გაიზარდა და ბერძნულადაც წერდა. როგორც ამას ქართული და ბერძნული წყაროები ადასტურებს, მას ბერძნულად სხვა მნიშვნელოვანი ტექსტებიც შეუქმნია, მაგ. ლოცვა, წეს-განგება... ის იყო განსწავლული ღვთისმეტყველი, რომელმაც ქართულად შეაჯამა დამასკელის მთავარი ნაშრომი „გარდამოცემა“ და უწოდა „წინამძღვარი“. ეს არის კატეხიზმური ნაშრომი - კომპენდიუმი. თუ ვინმე იცნობდა და ამუშავებდა დამასკელს, ეს იყო ექვთიმე ათონელი. არაა გასაკვირი, რომ დამასკელის სტილსა და ფორმულებს ვხედავდეთ „ბალავარიანში“. შუა საუკუნეებში ამა თუ იმ ნაწარმოების ნაწყვეტის, ციტატის, ან მთლიანად თხზულების ჩასმა მეორეში ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო, დამახასიათებელი მეტაფრასტიკისათვის. დამასკელის ციტატების არსებობა ტექსტში არ გამოდგება ავტორობის დასადგენად. ექვთიმემ ბერძნულად თარგმნა ტექსტის ვრცელი რედაქცია და არა მოკლე, რომელიც უცნობი რედაქტორის მიერ არის შესრულებული. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს მოკლე რედაქციაც კი უფრო ძველია, ვიდრე უძველესი ბერძნული.

თხზულების უძველესი ლათინური თარგმანი 1048 წლისა, შესრულებულია ბერძნულიდან. ეს უძველესი ხელნაწერი, პირველ თარგმანია ბერძნულიდან და ლათინურზე ახლავს ლემა, შესრულებული ლათინი მთარგმნელის მიერ კონსტანტინე მონომახოსის დროს 1048 წელს: ვინმე ლეონს მისთვის გადაუცია წიგნაკი, რათა მას გადაეთარგმნა ბერძნულიდან ლათინურად. და ეს წიგნაკი ინდური ენიდან ბერძნულად გადათარგმნა პირველად ერთმა ბერმა ექვთიმემ აბაზგური წარმოშობისამ (ყაუხჩიშვილი 1973: 313-320).

ლათინური ხელნაწერის გარდა, ამ ცნობას შეიცავს XI საუკუნის ბერძნული ლემა: XI ს-ის ხელნაწერში: „სულის მარგებელი ისტორია ეთიოპელთა შიდა ქვეყნიან წმინდა ქალაქში მოტანილი საბაწმიდის მონასტრის ბერის იოანეს მიერ, ხოლო გადმოთარგმნილი იბერთა

ქვეყნიდან ელადის ენაზე პატივსადები და სათნო კაცის იბერად წოდებული ექვთიმეს მიერ (ყაუხჩიშვილი 1973: 313-320).

გამოდის, რომ არსებობს სამი უძველესი ცნობა სამ ენაზე: ბერძნულზე, ლათინურზე, ქართულზე, რომელიც ასაბუთებს, რომ ექვთიმე ათონელმა შექმნა პირველი ბერძნულენოვანი ვერსია „ვარლაამ და იოდასაფისა“; თხზულების გამოჩენის ადგილი - ათონის მთა - ამისი დასტურია.

ექვთიმემდე ბერძნულ ენაზე არ არსებობდა რომანის არც ხელნაწერები, არც დამოწმება სვინა ქსარებში, არც რაიმე რემინისცენცია, გადაკრული მნიშვნელობაც კი;

საყურადღებოა ასევე ნაწარმოების სტილიც. ის მეტაფრასტიკის ნიმუშია, რომელიც შეუძლებელია ჩამოყალიბებულიყო *მეტაფრასტიკის* წარმოშობამდე, ანუ X საუკუნემდე, ექვთიმე მთაწმინდელის მოღვაწეობის დრომდე;

ექვთიმე მთაწმინდელის დროს, X ს-ის უკანასკნელ ათწლეულში, ბიზანტიის სამეფო კარზე და საეკლესიო წრეებში საჭირო და თანადროული უნდა ყოფილიყო „ვარლაამ და იოდასაფის“ როგორც ფაბულა (ახალგაზრდა უფლისწულის გაქრისტიანების ამბავი), ასევე ქრისტოლოგია (პოლემიკა წარმართობის წინააღმდეგ);

ბერძნული ტექსტი მოცულობით აღემატება ქართულ ვრცელ რედაქციასაც, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ექვთიმეს მთარგმნელობითი სტილისთვის დამახასიათებელია კლება-შემოკლების მეთოდი და მისი მიზანდასახულობა, რომ შექმნილიყო აღმატებული ღირებულების მქონე ძეგლი, ეს მეტობა არაა გასაკვირი და არ გამოირიცხავს არც ექვთიმეს ავტორობას და არც იმას, რომ ბერძნულის დედანი არის ქართული. ექვთიმე არის არა მხოლოდ მთარგმნელი, არამედ ბერძნული ვერსიის თანაავტორიც.

ბერძნული, არაბული და ქართული რედაქციათა საერთო ნაწილში ბერძნული ტექსტი შორდება არაბულს და უახლოვდება ქართულს.

ამრიგად, „ბალავარიანი“ არის ჰაგიოგრაფიული ძეგლი, რომელიც ქართულიდან ბერძნულად ითარგმნა და ქართულის გზით შევიდა ევროპულ სივრცეში.

ზოგადფილოლოგიური თვალსაზრისით, ამ ძეგლის ისტორიაში ქართული თარგმანის შესრულებაზე უფრო მნიშვნელოვანია მისგან ბერძნული ვერსიის შექმნა, რადგან ბერძნულმა თარგმანმა განაპირობა ნაწარმოების გლობალურად განფენა. ვინ შეასრულა ეს უმნიშვნელოვანესი საქმე? ეს იყო ექვთიმე ათონელი, დიდი ქართველი ღვთისმეტყველი. ამ ტექსტის ისტორია ცხადყოფს, რომ საქართველო კულტურულ ხიდსა და გზაჯვარედინს წარმოადგენდა ევროპასა და აზიას შორის. ამას გულისხმობდა მეცნიერი რ. სირაძე, როცა წერდა, რომ ბალავარიანის ისტორია ქართული კულტურის ფუნქციას წარმოაჩენს. ქართულენოვანი ლიტერატურის გაუთვალისწინებლად ვერ დაიხატება შუა საუკუნეების მსოფლიო კულტურული პროცესების სრულყოფილი სურათი.

ლიტერატურა:

რ. სირაძე, ქართული კულტურის საფუძვლები, თბ., 2000.

ე. ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიისათვის, თბ., 1982.

ედიშერ ჭელიძე | ქრისტიანული ლიტერატურის ისტორია |18 | ბალავარიანი

<https://www.youtube.com/watch?v=Fdqs89WtykU> /ბოლოს გადამოწმებულია 10.09.2022/

ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. II, XI-XV სს., თბ., 1967.